


შპს „ემზონი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია



1


სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია	4
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	5
საქმიანობის შედეგები	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	9
ფულადი სახსრების მოძრაობა.....	10
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	10
განცხადება შესაბამისობის შესახებ და მის ფასს პირველადი გამოყენება	10
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	11
ფული და ფულის ეკვივალენტები	11
ამონაგების აღიარება	11
შემოსავლები და ხარჯები	11
სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	11
მოგება-ზარალი	12
მოგების გადასახადი	12
ძირითადი საშუალებები	12
არამატერიალური აქტივები	12
სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	13
საწვავის აღრიცხვა.....	13
ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა.....	13
იჯარა	13
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
სავაჭრო ვალდებულებები.....	14
სესხები	14

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

2

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	14
განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისათვის	14
1. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	14
2 . სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	15
3. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	15
4. სხვა მიმდინარე აქტივები	15
5. ძირითადი საშუალებები	16
6. არამატერიალური აქტივები.....	17
7. სავაჭრო ვალდებულებები	18
8. საგადასახადო ვალდებულებები.....	19
9. მიღებული ავანსები.....	19
10. მოკლევადიანი სესხები, გადასახდელი პროცენტი და საბანკო გარანტიები.....	19
11. საკუთარი კაპიტალი	19
განმარტებები საქმიანობის შედეგების ანგარიშგებისთვის.....	20
12. ამონაგები.....	20
13. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავალი.....	20
14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	22
15 . მოგების გადასახადის ხარჯი.....	22
16. გადავადებული გადასახადი	23
17. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება	23
18. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	23
19. ინფორმაცია კაპიტალის ცვლილების შესახებ.....	23
20. განმარტება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ	24
21. პირობითი ვალდებულებები	24
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25
23. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	25
24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	25



ზოგადი ინფორმაცია

შპს „ემზონი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოში მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2007 წლის 07 ივნისს. იგი საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი იურიდიული მასამართია: საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონი, კოსტავას 63. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი:205208979. 2022 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით კომპანიის 50%-50%-იანი წილის მფლობელები არიან დავით ჩხორთოლია და გიორგი ღვინიაშვილი. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საცალო ვაჭრობა საათებით, სამკაულებითა და აქსესუარებით სპეციალიზირებულ მაღაზიებში და სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მსს ფასს სტანდარტი), რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში ქართული ლარი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ციფრული ფორმებისა და განმარტებითი შენიშვნების შევსების ერთეულია ერთეული ლარი.

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის


	შენიშვნები	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	242,922	374,815	19,786
სავაჭრო მოთხოვნები	2	216,304	135,299	37,171
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2	52,513	152,111	27,179
მარაგები	3	1,020,288	845,440	1,016,419
- მზა პროდუქცია				
- სხვა		1,020,288	845,440	1,016,419
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	4	29,023	14,885	15,229
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულებების მოდელით				

- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	5	3,259	3,421	4,141
ძირითადი საშუალებები	6	134,322	92,056	103,994
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		1,698,631	1,618,027	1,223,919

ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	7	16,604	203,493	127,378
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		21,156	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	8	90,918	34,389	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	10	0	0	29,542
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული				

გრანტები				
სხვა ვალდებულებები	9	723 129,401	0	0
სულ ვალდებულებები			237,882	156,920
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		200	55,375	70,375
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,569,030	1,324,770	996,624
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	11	1,569,230	1,380,145	1,066,999
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,698,631	1,618,027	1,223,919
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,561,050	1,522,550	1,115,784
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		129,401	237,882	156,920

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია



7

11-25 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს გაცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საქმიანობის შედეგები

	შენიშვნები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	12	2,736,248	2,368,652
საქონლის გაყიდვიდან		2,733,804	2,367,087
მომსახურების გაწევიდან		2,444	1,565
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,532,680)	(1,422,345)
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		1,203,568	946,307

სხვა საოპერაციო შემოსავალი	13	41,385	53,011
დასაქმებულთა ანაზღაურება	17	(345,034)	(192,160)
ცვეთა და ამორტიზაცია		(19,705)	(14,641)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	10	(1,013)	(1,355)
იჯარის ხარჯი	18	(392,348)	(309,523)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(221,584)	(150,687)
სულ საოპერაციო ხარჯები		(938,300)	(615,355)
საოპერაციო მოგება		265,268	330,952

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

8

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	16	25,677	(2,515)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	13	15,566	612
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		306,511	329,049
მოგების გადასახადი	15	(9,620)	(903)
მოგება/(ზარალი)		296,891	328,146

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		296,891	328,146

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,380,145	1,066,999
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(52,631)	

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

9

11-25 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მ-ცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(55,175)	(15,000)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	19	1,569,230	1,380,145

ფულადი სახსრების მოძრაობა

		31/12/2022	31/12/2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		56,012	409,294
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(73,144)	(2,974)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(106,188)	(45,897)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(123,320)	360,423
სავალუტო კურსის ეფექტი		(8,573)	(5,394)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		374,815	19,786
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	20	242,922	374,815


ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

საწარმომ ფინანსური ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგების გარდა, მოამზადა დრიცხვის მეთოდის საფუძველზე.

განცხადება შესაბამისობის შესახებ და მსს ფასს პირველადი გამოყენება

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა (დაშვებულია, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში) და „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) (IFRS for SMEs)“ შესაბამისად. კომპანია წინა საანგარიშგებო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შპს „ემბონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია



10

11-25 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კონვერტაციის ხარჯი“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსი:

31/12/2022	1 \$	1 EUR	1 CHF	10 AED
	2,702	2,8844	2,9322	7,357

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა, ან შესრულდება მომსახურება. ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და დღგ-ს გარეშე.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

მოგება-ზარალი

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება დივიდენდის გასაცემად, საწარმოს რეინვესტირებისათვის ან სხვა დანიშნულებით დამფუძნებელი-პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოგების გადასახადი

მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება სსკ-ს 98-ე მუხლის საფუძველზე. მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით - საქართველოს საგადასახდო კოდექსის მიხედვით - ე.წ. „ესტონური მოდელით“ ყოველთვიური შედეგის მიხედვით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებებში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

ძირითადი საშუალებები

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს, განზაფხების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბრის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შეცვლა. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება წმინდა თანხით როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

შესყიდული არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით შემცირებული ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ოდენობით, თუ ასეთი არსებობს. არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორაილია

უზრუნველყოფას. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების წლების მანძილზე. ამორტიზაციის პერიოდი და ცვეთის პროცენტი უნდა გადაისინჯოს ყოველი წლის ბოლოს. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების ეფექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღირიცხება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდი უწყვეტია. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება. სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გაყიდვასამდე, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით, გაუფასურების ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასეთი შემთხვევის არსებობისას.

საწვავის აღრიცხვა

ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონების აღრიცხვა და ანგარიშგაღებულ პირზე გაცემა აღირიცხება უწყისებში. საწვავი ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადებებისა და დაგეგმილი ყოველდღიური მარშრუტების შესაბამისად ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯის ნორმების შესაბამისად.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი, აგრეთვე კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კერტიჩი, დისკები, ეკრანის გამწმენდი სითხე და სხვა) ჯერ მარაგებში აისახება, ხოლო შემდეგ ხდება მათი ჩამოწერა და ადმინისტრაციულ ხარჯებზე მიკუთვნება.

იჯარა

შპს „ემზონი“-ში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა.

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

13

თუ იარსებებს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი, მაშინ გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები) და ერთჯერადად დაქირავებულების გაწეული მომსახურების ანაზღაურება აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისათვის

1. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	2022	2021	2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	25,512	24,487	9,455
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	212,544	332,099	9,966
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,866	18,229	365

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

14

ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0	0	0
სულ :	242,922	374,815	19,786

2. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
მოთხოვნები იურუდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	165,323	89,323	23,901
განვადება, ტერმინალებით გადახდა- მოთხოვნები ფიზიკურ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	50,981	45,976	13,269
სულ სავაჭრო მოთხოვნები:	216,304	135,299	37,171
გადახდილი ავანსები ადგილობრივ მომწოდებლებზე	52,513	152,111	27,179

3. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

2022 წლის ბოლოს მარაგები შედგება გასაყიდი საქონლისაგან - 942785, სხვა სასაქონლო-მატერიალური და სამეურნეო საქონლისაგან - 77,503, სულ 1,020,288 ლარის საქონელი. 2021 წელი გასაყიდი საქონლისაგან 805,115 და სხვა სასაქონლო-მატერიალური და სამეურნეო მარაგი - 40,325, სულ 845,440 ლარის საქონელი. 2020 წელს - 986,028 ლარი და სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი (ბენზინი, სამეურნეო და სვა.) - 30,391 ლარი, სულ 1,016,419 ლარის საქონელი.

4. სხვა მიმდინარე აქტივები

2022 წლის სხვა მოკლევადიანი აქტივები შედგება წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირისაგან - 23,263 ლარი და არაცვეთადი მცირეფასიანი სხვა დამხმარე მასალებისაგან - 5,760 ლარი, სულ 29,023 ლარი. 2021 წლის სხვა მოკლევადიანი აქტივები შედგება წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა (დეპოზიტი) - 9,129 და არაცვეთადი მცირეფასიანი სხვა დამხმარე მასალები - 5,756 ლარის ღირებულების, სულ 14,885 ლარი. 2020 წლის მიმდინარე აქტივები შედგება საგადასახადო აქტივებისაგან 15,229.

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთილაძე

15

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები დაყოფილია კატეგორიებად, რომლებიც გაერთიანებულია შემდეგ ორ ჯგუფში: პირველ ჯგუფში შედის ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი, მე-2-ში - იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა.

ძირითადი საშუალებები

		ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
2019	ნეტო საბალანსო ღირებულება	20,206		20,206
2020	შეძენა	80,630	14,827	95,457
2020	გასვლა			
2020	გასულის ცვეთა			
2020	პერიოდის ცვეთა	(10,961)	(708)	(11,669)
31.12.2020	ნეტო საბალანსო ღირებულება	89,875	14,119	103,994
31.12.2020	თვითღირებულება	118,518	14,827	133,345
31.12.2020	დაგროვილი ცვეთა	(28,643)	(708)	(29,351)
2021				2,895
	შეძენა	2,895		(12,619)
2021	გასვლა	(12,619)		11,706
2021	გასულის ცვეთა	11,706		(13,920)
2021	პერიოდის ცვეთა	(11,802)	(2,118)	123,621
31.12.2021	თვითღირებულება	108,794	14,827	(31,565)
31.12.2021	დაგროვილი ცვეთა	(11,802)	(2,826)	92,056
31.12.2021	ნეტო საბალანსო ღირებულება	80,055	12,001	

2022		ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
------	--	--	---	-----

2022	შეძენა	62,168	0	62,168
2022	გასვლა	(7,295)	0	(7,295)
2022	გასვლის ცვეთა	6,343	0	6,343
2022	პერიოდის ცვეთა	(16,832)	(2,118)	(18,950)
31.12.2022	თვითღირებულება	163,667	14,827	178,494
31.12.2022	დაგროვილი ცვეთა	(39,228)	(4,944)	(44,172)
31.12.2022	ნეტო საბალანსო ღირებულება	124,439	9,883	134,322

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას (ლიცენზიები, პროგრამა, მოლარე), კერძოდ. კომპიუტერილი საბუღალტრო პროგრამა ფინა, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების 7 წლის ვადაში. ყოველი წლის ბოლოს ხდება ვადებისა და საპროცენტო განაკვეთის გადახედა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების განხორციელება.

პროგრამული უზრუნველყოფა	
01.01.2020	2,966
შემოსვლა	2,076
გასვლა	0
გაუფასურება	0
31.12.2020	5,042
	დაგროვილი ცვეთა
01.01.2020	189
წლიური ცვეთა	712
	ნეტო საბალანსო ღირებულება

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

31.12.2020	4,141
------------	-------

2021	
შეძენა	0
გასვლა	0
პერიოდის ცვთა	720
დაგროვილი თვითღირებულება	5,042
დაგროვილი ცვთა	1,621
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2021	3,421

2022	
შეძენა	593
გასვლა	0
პერიოდის ცვთა	755
დაგროვილი თვითღირებულება	5,635
დაგროვილი ცვთა	2,376
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2022	3,259

7. საგაჭრო ვალდებულებები

2022 წლის ბოლოსათვის სულ ვალდებულებები შეადგენდა 129,401 ლარს, აქედან - საქონლის მოწოდებიდან და გაწეული მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები შეადგენდა 16,604 ლარს, ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ - 21,156 ლარს, საგადასახადო ვალდებულებები - 91,641 ლარს.

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

18

8. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2022 წელს ძირითადად შედგება გადასახდელი დღგ-ს და მოგების გადასახადისაგან ე.წ. ესტონური მოდელის მიხედვით.

9. მიღებული ავანსები

2022 წლის ბოლოს რეზიდენტებისაგან და არარეზიდენტებისაგან მიღებული ავანსები არ ფიქსირდებოდა.

10. მოკლევადიანი სესხები, გადასახდელი პროცენტი და საბანკო გარანტიები

	2022	2021
ათვისებული თანხები	113,950	3,970
დაბრუნებული თანხები	113,950	33,512
გადახდილი პროცენტები	1,013	1,355
დასაფარი თანხები	0	0

საბანკო გარანტიები

საბანკო გარანტია N76.8445 გაიხსნა 10.03.2022-ში და დაიხურა 12.10.22-ში; საბანკო გარანტიის პროცენტი შეადგენდა 4,8%-ს, თანხაზე 1983 აშშ დოლარი.

საკრედიტო ხაზი N76.8916 გაიხსნა 28.10.2022-ში და დაიხურა 26.06.2023-ში; ხაზის პროცენტი შეადგენდა 13,5%-ს, თანხა - 200,000 ლარი.

11. საკუთარი კაპიტალი

2021 წლის ბოლოს შპს-ს საკუთარი კაპიტალი სულ შეადგენდა - 1,380,145 ლარს, ხოლო 2022 წლის ბოლოს 1,569,230 ლარს. აქედან 200 ლარი არის კომპანიის თავდაპირველი კაპიტალი მისი წესდებით განსაზღვრული, 296,891 ლარი - 2022 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგად პერიოდის მოგება-ზარალი, ხოლო გაუნაწილებელი მოგება - 1,569,030 ლარი. საზოგადოების დამფუძნებელ-პარტნიორთა კრების ოქმების საფუძველზე განხორციელდა კაპიტალის შემცირება დამატებითი შენატანების უკან დაბრუნების გზით 55,175 ლარის ოდენობით და აგრეთვე _ შპს-ს მიერ 2017 წლის პირველ იანვრამდე სამეურნეო საქმიანობის შედეგად გამოქმუწვებული მოგებიდან პარტნიორებზე დივიდენდების განაწილება 52,632 ლარის ოდენობით.

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

19

განმარტებები საქმიანობის შედეგების ანგარიშგებისთვის

12. ამონაგები


ამონაგები	2022	2021
საქონლის გაყიდვიდან	2,733,804	2,367,087
მომსახურების გაწევიდან	2,444	1,565
სულ:	2,736,248	2,368,652

13. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავალი

	2022	2021
მიღებული ბონუსი უცხოელი მომწოდებლებიდან	34,515	41,318
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	6,870	2,123
შემოსავალი საპენსიო სააგენტოდან დაბრუნებული თანხიდან	0	0
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	0	0
საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირება	0	7,765
კონვერტაციიდან	0	612

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

20



სხვადასხვა	0	1,193
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15,566	

სულ: 56,951 53,011

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
მარკეტინგისა, სარეკლამო და მიწოდების ხარჯი	45,703	37,220
სატელეკომუნიკაციო, კომუნალური	35,573	23,156
ექსპო 2020 დუბაი	4,159	17,461
ჯანმრთელობის დაზღვევა, საკონსულტაციო	6,519	4,026
მივლინების ხარჯი	37,838	16,628
საპენსიო შენატანი	6,991	3,606
საბანკო მომსახურება	37,112	27,784
სხვადასხვა სამეურნეო და საერთო ხარჯი	22,322	12,380
რემონტი სავაჭრო ფართისა და საქონლის შეკეთება	25,367	7,814
სულ:	221,584	150,075

15 . მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ, ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად. 2022 წლის ბოლოს შეადგინა 9,620 ლარი, რომელიც შედგება მიკროსტატუსის პირების მიერ გაწეული მომსახურებიდან და შედავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის გადახდილი ავანსებიდან და შესამცირებელი (დასაბრუნებელი) მოგების გადასახადისაგან.

16. გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახადის ვალდებულება არ ერიცხება

17. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება

კომპანიას დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება არ უფიქსირდება.

18. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე აღებული აქვს სამაღაზიო, საოფისე და სასაწყობო ფართები. თვეში ერთხელ საიჯარო ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახადების გადახდა, რომლებიც 2022 წელს აღიარებულია ხარჯად და შეადგინა 392,349 ლარი, ხოლო 2021 წელს - 309,523 ლარი.

19. ინფორმაცია კაპიტალის ცვლილების შესახებ

	2022	2021
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	296,891	328,146
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,380,145	1,066,999
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ	(52,631)	0

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(55,175)	(15,000)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	19	1,569,230	1,380,145

20. განმარტება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ წარმოდგენილია პირაპირი მეთოდით, რომელიც ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ. ანგარიშგება ამონაგებისა და ხარჯების სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასავლებს საოპერაციო საქმიანობიდან, საინვესტიციო საქმიანობიდან და საფინანსო საქმიანობიდან.

მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიის საღირცხოვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია პროდუქციის რეალიზაციის შედეგად და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები, დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, გადახდილ გადასახადებთან დაკავშირებული ფულადი სახსრები და სხვა საოპერაციო ხარჯები.

ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან შეტანილია ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები და კაპიტალიზებადი ხარჯებისათვის გადახდილი თანხები. ასევე შეიტანება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებული ფულადი სახსრები.


ფულად ნაკადებში საფინანსო საქმიანობიდან შეტანილია სესხებისა და კრედიტების აღებასა და დაფარვასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები. კერძოდ: კრედიტის აღება, კრედიტის ძირის დაფარვა, კრედიტის %-ის დაფარვა. ასევე ასახულია საწარმოს საკუთარი კაპიტალის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებები.

საანგარიშო პერიოდის დასასაწყისსა და დასასრულისათვის არსებული ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში ცალკე ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები, სავალუტო კურსების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი.

21. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უკიქსირდება

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია



22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

23. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები არ ფიქსირდება, თუმცა ფიქსირდება ოპერაციები ისეთ კომპანიებთან, რომლებშიც დამფუძნებელი მნიშვნელოვან წილს ფლობს. ურთიერთობა ხორციელდება საბაზრო ფასებით.

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია 2023 წლის 25 სექტემბერს.

შპს „ემზონი“-ს დირექტორი
დავით ჩხორთოლია

25